ეროვნული ბიბლიოთეკა



## პირველი ოლიმპიელები

მეხიკოში გამგზავრებამდე ჩვენმა ოლიმპიელებმა 12 სექტემბერს კრემლი მოინახულეს, ეწვივნენ დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს და ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს. ოლიმპიელები იყვნენ აგრეთვე, უცნობი ჯარისკაცის საფლავზე. ოლიმპიელთა საზეიმო ფორმა — სპორტსმენი ქალებისთვის ალისფერი ჟაკეტები, ხოლო მამაკაცებისთვის—მუქი ლურჯი პიჯაკები, ხაზს უსვამდა მომენტის საზეიმო განწყობილებას.

საბჭოთა ოლიმპიელების პირველი რაზმი — 100-მდე მძლეოსანი, თანამედროვე ხუთჭიდელი, აკადემიური ნიჩბოსნობის ოსტატი, გზას გაუდგა. ორი საბჭოთა ლაინერის „ილ-18“-ის გაფრენა მოხდა 12 სექტემბრის შუაღამემდე რამდენიმე წუთით ადრე.

ეს სპორტსმენები საბჭოთა ოლიმპიური გუნდის მოწინავე მზვერავები არიან, რომლებიც ოლიმპიური სოფლის პირველ მცხოვრებთა შორის იქნებიან. ოლიმპიური სოფლის გახსნა ხომ 18 სექტემბერს მოხდება მექსიკის პრეზიდენტის გ. გუსტავო დიას ორდასის მიერ. მეხიკოში უკვე იმყოფებიან გვატემალის გუნდის ნაწილი, პოლონელი და ესპანელიველოსიპედისტები. XIX ოლიმპიურ თამაშებამდე დარჩენილ დროს სპორტსმენები გამოიყენებენ წვრთნისთვის და 2 კმ-ზე მეტ სიმაღლეზე აკლიმატიზაციისთვის.

დანარჩენი საბჭოთა ოლიმპიელები მეხიკოში გაემგზავრებიან უახლოეს დღეებში.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 181 (3665)

1968 წ. 14 სექტემბერი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## მეხიკოს სიგნალები

**ულან-ბატორი, 12 სექტემბერი.** მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სპორტსმენები მეორედ იასპარეზებენ ოლიმპიურ თამაშებში. ეს ქვეყანა მექსიკაში აგზავნის 20 ათლეტს, რომლებიც თავისუფალ ჭიდაობაში, ტანვარჯიშში, სროლაში, მძლეოსნობაში გამოვლენ. განსაკუთრებით კი თავისუფალი მოჭიდავეების იმედი აქვთ.

**კაირო, 12 სექტემბერი.** არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში შევიდა 54 სპორტსმენი — მოკრივეები, ძალოსნები, წყალში მხტომელები, მსროლელები და მოფარიკავეები.

**პარიზი, 12 სექტემბერი.** 177 ვაჟი და 32 ქალი. ასეთია შემადგენლობა საფრანგეთის გუნდისა, რომელიც მექსიკის ოლიმპიადაში სპორტის 16 სახეობაში იასპარეზებს. ყველაზე მრავალრიცხოვანია მძლეოსანთა კოლექტივი (41 სპორტსმენი). აღსანიშნავია, რომ ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში საფრანგეთის 136 სპორტსმენი სპორტის 13 სახეობაში გამოდიოდა.

**სტამბოლი, 12 სექტემბერი.** თურქეთის ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში ჩაირიცხა 50 სპორტსმენი. ესენია თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავენი, მოკრივენი და მძლეოსნები. სხვა სახეობებში მეხიკოს საგზურების მაძიებლებმა ვერ შეასრულეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ნორმატივები.

**ამსტერდამი, 12 სექტემბერი.** მძლეოსნობა, ძალოსნობა, ველოსპორტი, კრივი, ცურვა, ნიჩბოსნობა, აფროსნობა, ბალახის ჰოკეი, წყალბურთი. აი, ის სახეობები, რომელშიც XIX ოლიმპიადაში ჰოლანდიელები იასპარეზებენ. გუნდის 119 წევრიდან ყველაზე მეტი (25) ნიჩბოსანია.

**ლონდონი, 12 სექტემბერი.** აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი მ. ბიგნელ-რენდი ავადმყოფობის გამო მეხიკოში ვერ იასპარეზებს. გუნდში მისი ადგილი დაიკავა 16 წლის ს. სკოტმა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## ბრძოლის ლოგიკა

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 12 სექტემბერი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (კიროვაბადი) 2:1 (0:1).

„ტორპედო“: კოტრიკაძე, წვერავა, წიწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე, ჭოლაძე (ნაჭყებია), ზარია, ასიტაშვილი, ვეკუა, გადელია, ჭითანავა.

„დინამო“: ჰუსეინოვი, ნაჯაფოვი, სპიკინი, ფალკოვსკი, ბატრაევი, მაგერამოვი, ფილატოვი (სტუპინი), მურიტოვი, ეინულაევი, აბდულაევი (კაზოევი), კასიმოვი.

მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 „ტორპედოს“ სასარგებლოდ.

ყოველ გუნდს აქვს სეზონში ერთი ან ორი მატჩი, რომლის მნიშვნელობა სცილდება რიგითი კალენდარული შეხვედრის დონეს და უაღრესად პრინციპულ, ზოგჯერ კი გადამწყვეტ მნიშვნელობას იღებს. სწორედ ასეთი საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა ქუთაისის „ტორპედოსთვის“ გუშინწინდელ მატჩს, რომელსაც ბევრ, მეტად საჭიროროტო შეკითხვაზე უნდა გაეცა პასუხი. დიდი იყო ამ მატჩის მნიშვნელობა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის დებიუტანტისთვის, კიროვაბადის „დინამოსთვისაც“, რომელიც ასევე „ხმალამოწვდილი“ იბრძვის თავისი უმაღლესი უფლების დასაცავად და, რაც დრო გადის, მით უფრო ბასრ კლანჭებს აჩენს.

სწორედ იმიტომ, რომ ორთავე მხარე უშეღავათო ბრძოლისთვის იყო განწყობილი, მატჩი სანახაობრივად უეფექტო. ზოგიერთ სიტუაციაში კი მოსაწყენიც გახლდათ. მაგრამ ვიმეორებ, კიროვაბადელებსაც და ქუთაისელებსაც ისევე, როგორც მათ ათასობით გულშემატკივრებს, ამ დღეს ყველაზე ნაკლებად აფიქრებდათ ლამაზი, ეფექტური ფეხბურთი.

გამარჯვების სურვილმა მეტოქეები ფსიქოლოგიურად სხვადასხვაგვარად განაწყო. „ტორპედომ“ თავის მინდორზე, თავისი მაყურებლის წინ, თავიდანვე ბრძოლის სადავეების ხელში აღება სცადა. ამიტომაც მეტოქის კარის თავქუდმოგლეჯილ შტურმს ამჯობინა ტაქტიკური მანევრირება და ამ გზით საერთო ტერიტორიული უპირატესობის დაუფლება, რათა იგი შემდგომში რეალურ ღირებულებად ექცია.

სტუმრებმა პირიქით, მოახლოვებული საფრთხის წინ ენერგიის უჩვეულო მოზღვავება იგრძნეს და უკმარი ტექნიკურ-ტაქტიკური ოსტატობის კომპენსაცია ფიზიკური მობილურობის გზით წარმართეს. სწორედ ასე დაუპირისპირდა ერთმანეთს მასპინძლების გარკვეული ტაქტიკური ჩანაფიქრი და სტუმრების შიშველი ენთუზიაზმი.

თამაშის პირველი ნახევრის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „დინამოს“ ენთუზიაზმი უფრო ცხოველმყოფელი გამოდგა, ვიდრე ტორპედოელთა სქემა, რომელსაც უჩვეულო პასუხისმგებლობის პირობებში აკლდა საშემსრულებლო ოსტატობაც და რეალისტურობაც. სტუმრების ტაქტიკა სქემატურად შემდეგში მდგომარეობდა: ყოველნაირად შეუშალე ხელი მეტოქეს, არ მისცე მას თამაშის საშუალება, შენ კი შესაძლოა ბედმა გაგიღიმოს.

და მართლაც, კიროვაბადელებს შეხვედრის 38-ე წუთზე ბედმა გაუღიმა: აბდულაევმა საკმაოდ ლამაზი გოლი გაიტანა სიტუაციაში, რომელიც აბსოლუტურად არ გახლდათ საგოლე. ფეხბურთში ასეთი რამ ხშირად ხდება: ინიციატივას ფლობს ერთი, გოლი კი გააქვს მეორეს. მაგრამ ამ დღეს „ტორპედო“ არ იყო განწირული, თუნდაც იმიტომ, რომ შესამჩნევად სჯობდა მეტოქეს.

მეორე ნახევარში ტორპედოელთა რიგებში ჩადგა ახალგაზრდა ნაჭყებია, რომელმაც თავისი ასაკისა და გამოცდილებისთვის მეტად უჩვეულო, ორგანიზატორის როლი იკისრა და მაშინვე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. შეტევებმა უფრო მწვავე ხასიათი მიიღო, ნახევარდაცვა მჭიდროდ დაუკავშირდა თავდასხმას, შეივსო „ცარიელი“ ადგილები მინდორზე და... ზარიამ უბრწყინვალესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

ახლა კი ცხადი იყო, რომ „ტორპედო“ სასურველი ფინიშისაკენ მიემართებოდა. მართლაც, მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე, ვეკუამ წერტილი დაუსვა ბრძოლას, რომლის ლოგიკური ფინალი იყო ორი, მეტად საჭირო ქულა.

**ნ. ბუზუშვილი.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ს უ რ ა თ ზ ე: სახიფათო მომენტი კიროვაბადელთა კართან.
ფოტო შ. ფიჩხაძისა.



### „ა“ კლასი I ჯგუფი

გუშინ და გუშინწინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

„დინამო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1

„ნეფტჩი“ (ბაქო)—ასკ (როსტოვი) 0:1

„კაირატი“ (ალმა-ათა) — „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 0:1

„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (თბილისი) — 1:0.

„დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 0:0.

## პროტესტი

სსრ კავშირის შაშის ფედერაციამ პროტესტი განუცხადა იტალიელ ხელისუფლებს, რომლებმაც საბჭოთა სპორტულ დელეგაციას ვიზა არ მისცა ლივორნოში 11 სექტემბერს დაწყებულ ევროპის ჩემპიონატში სათამაშოდ.

„შაშის მსოფლიო ფედერაციის პასიური პოზიცია იტალიელ ხელისუფალთა გადაწყვეტილების დროს სხვანაირად ვერ შეფასდება, თუ არა წინასწარ განზრახული ნაბიჯი“, — ნათქვამია პროტესტში.

სსრ კავშირის შაშის ფედერაცია მოაგონებს, რომ საბჭოთა შაშისტები მრავალი წლის მანძილზე მონაწილეობდნენ ყველა ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებაში და მსოფლიო ჩემპიონები არიან. მათი არყოფნა ამ შეჯიბრებაზე, შაშის განვითარებას დიდ ზიანს მოუტანს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ე. წ. ჩემპიონატის შედეგები ვერავითარ შემთხვევაში ვერ ასახავენ მონაწილეთა ნამდვილ ძალასა და თამაშის კლასს.

სსრ კავშირის შაშის ფედერაციამ მოითხოვა ჩემპიონატის სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადატანა, იმ სახელმწიფოში, რომელიც საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების წესდებას პატივს სცემს და არ უშვებს არავითარ დისკრიმინაციულ ღონისძიებას პოლიტიკური თუ სხვა მოტივებით.

# მისაბაძი ინიციატივა

გზაში ყური მოვკარი: დღეს ცაგერში საინტერესო მატჩია ფეხბურთში. როცა ცაგერელი სპორტსმენების თავკაცს გ. ხვადაგიანს ვთხოვე სტადიონზე გაყოლა, მან დიდმნიშვნელოვნად გაიღიმა.

... სტადიონზე თითქმის მთელ ცაგერს მოეყარა თავი. აქ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებიც იყვნენ.

სპორტულ ფორმაში გამოწყობილი ფეხბურთელები მოედანს მოეფინენ. დაიწყო თამაში. ახმაურდნენ მაყურებლები.

— ფეხბურთელები გყოლიათ, საქართველოს პირველობაში რატომ არ მონაწილეობთ, — ვეუბნები სპორტკავშირის თავმჯდომარეს.

— მართალია, არ ვმონაწილეობთ, არ გვყავს შესაფერისი ფეხბურთელები. დააკვირდით, ვინ თამაშობენ: ასაკგადაცილებულნი, დროული კაცები, — ამბობს გელა. — ხედავთ იმ მელოტს იასამნისფერ მაისურში? ჩვენში ცნობილი მონადირეა, მონკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე დავით კოპალიანი. იგი 58 წლისაა, ის ორი ახალგაზრდა კი, მხარს რომ უბამენ მას, მისი ვაჟებია — თამაზი და ანზორი.

— მაშ, ეს რა შეჯიბრებაა?

ჩვენი საუბარი რაიაღმასკომის თავმჯდომარეს კ. დურმუშელიძეს ესმოდა. კითხვაზე მან მიპასუხა. ხმაში სიამაყის გრძნობა შევამჩნიე.

— ცაგერელთა ტურნირია. ზაფხულის ყოველ შაბათსა და კვირას ცაგერის უბნების გუნდები ეჯიბრებიან ერთმანეთს. ყველას ჰყავს თავისი ქომაგი. მეც ჩემს „ლაწუნდარას" ვგულშემატკივრობ.

ეს მართლაც კარგი ინიციატივა ძველმა კეჟნარელმა სპორტსმენმა ე. გოგიძემ წამოიწყო. შაბათსა და კვირას ცაგერელებს შესანიშნავი თავშესაქცევი გამოუჩნდათ. ასპარეზობა ბავშვებმა დაიწყეს. „კომუნიზმის სხივის" კოლმეურნეობამ საგანგებო თასიც კი დააწესა გამარჯვებულთათვის. როცა ნორჩების შეჯიბრება დასრულდა, ესტაფეტა უფროსებმა ჩამოართვეს.

საინტერესო საქმეს, რა თქმა უნდა, სათავეში ცაგერის ფიზკულტურული აქტივი ჩაუდგა. მან ბრძოლაში ცაგერის ექვსი უბანი მოიწვია. გუნდში 30 წელზე ნაკლები ასაკის ფეხბურთელის შეყვანა აკრძალეს. ამ პირობამ გააათკეცა ინტერესი.

გუნდებში თამაშს მთელი ოჯახები თხოულობდნენ. ამიტომაც, მაგალითად, „მერცხალში" თამაშობდნენ ძმები ყვირილიანები, ბენიძეები, სალინაძეები... რა თქმა უნდა, ყველას თავისი შინაური გულშემატკივარი ჰყავს.

კარგმა წამოწყებამ ფრთები შეისხა. ფეხბურთელთა ტურნირს კალათბურთელებისა და ფრენბურთელთა ასპარეზობა მოჰყვება.

და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ მოახპარეზეებს ლეჩხუმის პირქუში ბუნება არ შეუშლის ხელს.

თ. ნინოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ცაგერი.

## კომკავშირის მიეძღვნა...

სოხუმში მიმდინარეობს ავიატორთა გუნდების საკავშირო შეჯიბრება ფეხბურთში, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. მონაწილეობენ მოსკოვის, როსტოვის, ალმაათის, თბილისისა და სოხუმის გუნდები.

შეჯიბრება ოლიმპიური სისტემით მიმდინარეობს. მოსკოველებმა დაამარცხეს როსტოველები 3:2, ხოლო მომდევნო ტურში თვითონაც წააგეს თბილისელებთან — 2:4. სოხუმელებმა სძლიეს ალმაათელებს— 4:1. ამრიგად, ფინალში, რომელიც დღეს გაიმართება, ერთმანეთს შეხვდებიან თბილისისა და სოხუმის კოლექტივები.

ე. ბუნაძე.

## ზნაურელი ფალავნები უძლიერესნი

ცხინვალის საქიდაო დარბაზში დამთავრდა სამხრეთ ოსეთის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონის სახელისთვის იბრძოდნენ ცხინვალის, ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალისრაიონის ფალავნები.

ძლიერი გუნდი გამოიყვანეს ზნაურისა და ლენინგორის რაიონებმა. სწორედ მათ შორის გაჩაღდა ბრძოლა პირველი ადგილისთვის. უკეთ მომზადებულები აღმოჩნდნენ ზნაურელი ფალავნები, რომლებმაც მოიპოვეს კიდეც თასი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. ბუკულოვი, ბ. ტრანკაძე (ორივე — ზნაური), მ. ქისიევი, გ. მარგიევი (ორივე — ცხინვალის რაიონი), მ. ხოსიევი (ლენინგორი), ა. იკაევი (ზნაური), ვ. თუაევი (ლენინგორი), ლ. გასიევი (ცხინვალი).

ვ. მელქოევი.
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

# სტარტზეა 2.500 სპორტსმენი

ენგურჰესის მშენებლობის მძლავრი მაჯისცემა მშენებელთა ფიზკულტურულ ცხოვრებაშიც იგრძნობა. თითქმის ყველა მშენებელი აქტიურადაა ჩაბმული სპორტული საქმიანობის ფერხულში. მაგალითად ისიც გამოდგება, რომ ენგურჰესელთა III სპარტაკიადაში, რომელიც ვარდნილჰესის სამმართველოს ტერიტორიაზე გაიმართა, 2 ათასზე მეტმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა.

მშენებლობის დიდი მასშტაბები დიდ მოთხოვნებსაც უყენებს ფიზკულტურის მესვეურებს. ადვილი როდია ფიზკულტურელთა მრავალათასიანი ოჯახის გაძღოლა. ყველა სამმართველოსთან შექმნილი ფიზკულტურული კოლექტივები სულ 4 ათასამდე კაცს ითვლის. ისეთ მუყაით ინსტრუქტორებსაც კი, როგორიც არიან რ. კახაძე (ძალოვანი კვანძი), გ. კუხალაშვილი (გვირაბმშენი) გაუჭირდებოდათ მუშაობა სამმართველოს ხელმძღვანელები ა. ცნობილაძე და გ. წულეისკირი მხარში რომ არ ამოსდგომოდნენ. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ამ კოლექტივების ახალგაზრდებმა ისახელეს თავი სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ენგურჰესელთა წარმატებებს კარგი სპორტული ბაზებიც განაპირობებს. ეს ბაზები ახალგაზრდებმა ააგეს. ახლა მათ განკარგულებაშია 4 კომპლექსური სტადიონი მძლეოსნური ბილიკებითა და სექტორებით, ფრენბურთისა და კალათბურთის 30 მოედანი, 4 ღია საცურაო აუზი და ამდენივე დარბაზის სახის ოთახი ძალოსნებისა და მაგიდის ჩოგბურთელებისთვის, 15 ოთახი ჭადრაკისა და შაშის სათამაშოდ. ფეხბურთელების განკარგულებაშია ვარდნილჰესის მშენებელთა სტადიონი 2 ათასი მაყურებლისთვის. რა თქმა უნდა, ეს ვერ დააკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნებს და ამიტომაც მშენებლობის თავკაცები ახალ ბაზებს აგებენ. წლეულს მწყობრში ჩადგება კაშხალმშენის სამმართველოს სტადიონი 6 ათასი მაყურებლისთვის და საცურაო აუზი.

ფიზკულტურული ცხოვრების სული და გული მწვრთნელები არიან. მათი დაუღალავი მუშაობაა საწინდარია იმ წარმატებისა, რაც ენგურჰესელ სპორტსმენებს აამაყებთ. ერთი ასეთი მწვრთნელია პირველთანრიგოსანი კ. ფიფია. იგი ძალოსნობითაა გატაცებული და სწორედ ამ სახეობაში ოსტატდება დაუსწრებლად საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის VI კურსზე. ფიფიამ ძალოსანთა სამეცადინო ბაზები მოაწყო სამმართველოებთან, ინგურის ქაღალდკომბინატში.

ტრადიციული სპარტაკიადის დღეებში ენგურჰესელებს ნამდვილი სპორტული ზეიმი აქვთ. ამჟამად ტარდება IV სპარტაკიადა, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავისადმია მიძღვნილი. 2.500 სპორტსმენი 12 სახეობაში ეჯიბრება ერთმანეთს.

ვ. ჟურღულია,
„განთიადის" ზუგდიდის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე.

## პოეტის 150 წლისთავს...

ბევრი სპორტის მოყვარული ჩამოვიდა წელს დასასვენებლად შოვში, მათ შორის იყვნენ ტურისტებიც და ალპინისტებიც. და აი, გასულ კვირას ალპინიზმის მოყვარულებმა დალაშქრეს მწვერვალი დოლამისი.

მოლაშქრეებმა უკან მოიტოვეს წიწვით დაბურული ტყე, ალპიურ ზონაში გასვლისას ცოტაოდენი შეისვენეს და მხნედ დაიწყეს მწვერვალის იერიში. დღის 4 საათზე დოლამისზე პირველები ავიდნენ ნ. კალმახელიძე, ი. ფანტელიძე, ბ. ხიჯსიაძე, ი. შიშმილაშვილი და დები ხანიაშვილები.

ზღვის დონიდან 3251 მეტრის სიმაღლეზე გაისმა გამარჯვებულთა ქართული ვაშა.

მთელი ლაშქრობა კინოოპერატორმა ბ. გეგენავამ ფირზე აღბეჭდა ცისფერი ეკრანისთვის.

მწვერვალის დალაშქვრა მიეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავს.

ნ. მიქაშავიძე,
ლაშქრობის მონაწილე.

# პირველად მაღაიდო



კიევი, 12 სექტემბერი. ვ. კორჩნოი ინგლისური დაწყების დიდი სპეციალისტია, ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ მან მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის IV პარტიაში ამ დებიუტს მიმართა. ეს უაღრესად მწვავე ბრძოლის მომასწავებელია.

სპასკი აჰყვა მეტოქეს. ფიგურები პოპულარული სქემის მიხედვით განავითარა, რაც თანაბარ პოზიციას ჰპირდებოდა. მაგრამ კორჩნოის ეს ხელს როდი აძლევდა. მან გრძელი როქი გააკეთა და იერიშის მომზადება დაიწყო.

პრეს-ბიუროში მყოფი მოჭადრაკეები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ სპასკის პოზიცია უფრო პერსპექტიულიაო. მისი ფიგურები ჰარმონიულად მოქმედებენო. მართლაც, მალე სპასკი გააქტიურდა ლაზიერის ფრთაზე. ხაზის გახსნის შემდეგ კი ძლიერი იერიშიც დაიწყო თეთრ მეფეზე.

სპასკიმ ხარისხი შეთავაზა კორჩნოის, მაგრამ ლენინგრადელმა არ მიიღო იგი. თითქმის 10 სვლა, ეტლი დარტყმის ქვეშ იდგა. ბოლოს, მოახლოებულ ცაიტნოტში, კორჩნოიმ აიყვანა იგი. სპასკიმ მდიდარი თამაში მიიღო. განსაკუთრებით გამოცოცხლდა მისი შავუჯრედოვანი კუ.

ამახობაში სათამაშო დროც ამოიწურა. პარტია გადაიდო ამ პოზიციაში:

სპასკი



კორჩნოი

სპეციალისტების აზრით, კორჩნოის დიდი შრომა დასჭირდება ყაიმის მისაღწევად. მას ორივე ფრთაზე ბრძოლა წაგებული აქვს. კორჩნოის ჩაწერილი 41-ე სვლა ალბათ არაფერს შეცვლის. პარტიის ფინალი მწვავე იქნება.

## ბოლოს...

კიევის საჭადრაკო კლუბში შედგა გადადებული IV პარტიის დამთავრება. სპასკიმ გამოიყენა უპირატესობა და გაიმარჯვა.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 3:1 სპასკის სასარგებლოდ. V პარტია შედგება 15 სექტემბერს.

# მესამე პარტია

ბ. სპასკი — ვ. კორჩნოი

სიცილიური დაცვა

**1. e4 c5 2. მc3 e6 3. მf3 მc6 4. g3 d5.**

ასე თამაშობდა მ. ჩიგორინი დახურული ვარიანტის წინააღმდეგ.

**5. კg2 d4 6. მe2 g6 7. d3 კg7 8. 0—0 მge7 9. მh4 e5 10. f4 ლd6 11. a3 a5 12. a4.**

ბრძოლამ ძველინდური დაცვისთვის დამახასიათებელი სახე მიიღო. სპასკი ახშობს შავების აქტივობას ლაზიერის ფრთაზე, სადაც თავად ინიციატივის ნატამალი არა აქვს. მხედარი h4 c4-ზე რომ იდგეს, მას ალბათ, უკეთესი პოზიციაც ექნებოდა.

**12. ... f6 13. მფh1 კe6 14. b3 ლd7 15. კd2 0—0.**

მეტოქეებმა დაამთავრეს ძალთა მობილიზება. შეიქმნა კრიტიკული პოზიცია. შემთხვევითი როდია, რომ სპასკიმ 18 წუთი მოანდომა შემდგომი თამაშის განჭვრეტას.

ამბობენ, სპასკი ობიექტურად აფასებს პოზიციას. ეს ნამდვილი ყოფილა, როგორც ამ პარტიიდან ჩანს. მან სწორად დაასკვნა, რომ კორჩნოის პერსპექტიული თამაში აქვს. ამიტომ ლოგიკურია იბრძოლო ყაიმისთვის პოზიციის მეთოდური გამარტივებით. თავის გეგმას სპასკი წინდახედულად და მტკიცედ ახორციელებს.

**16. fe fe 17. მg1 მb4.**

შესანიშნავი მანევრი: მხედარი „აქვავებს" თეთრების ლაზიერის ფრთას. მხედრის გაცვლა მეტ ზიანს მოუტანდა თეთრებს. სპასკი ფრთხილად ანეიტრალებს მხედრის მუქარებს.

**18. კg5 ე:f1 19. კ:f1 მc8.**

მხედარი მიისწრაფვის მეფის ფრთაზე თავისიანების დასახმარებლად.

**20. კd2 მd6 21. მhf3 მf7 22. ლc1.**

ბოლოსდაბოლოს, თეთრი ეტლი თამაშში ხომ უნდა ჩაებას.

**22. ... ეf8 23. კg2 h6 24. ლb2 g5 25. ეf1 მh8 26. ლc1 ლe8 27. h3 b5.**

კორჩნოი თანმიმდევრული ალარაა. მას 27. ... ლh5 უნდა ეთამაშა და იერიშზე ეზრუნა. მით უმეტეს, რომ 26-ე სვლაზე მან 13 წუთი იფიქრა. ახლა სპასკის უადვილდება დაცვა, რაკი კორჩნოიმ ტემპი ტყუილად დაკარგა.

**28. ab ლ:b5 29. მe1 მf7 30. ლd1 ლd7 31. ლh5 მd6 32. ე:f8+ მფ:f8 33. მფh2 მe8 34. ლd1.**

ადვილი როდია შემტევი ფიგურით უკანდახევა. თერთმეტწუთიანი ფიქრით სპასკიმ გონივრულად განსაჯა: შავების აქტივობა ლაზიერის ფრთაზე სახიფათოა. ახლა ლაზიერი საიმედოდ იცავს ყველა სისუსტეს.

**34. ... a4 35. ba ლ:a4 36. ლb1 მc7 37. მe2.**

პოზიცია მთლიანად გათანაბრდა. ამიტომ კორჩნოის წინადადებით მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

# ფინალში... წაგებით

ვორონეჟი, 13 სექტემბერი (ტელეფონით). ქალაქის „ტრუდის" სტადიონზე დაიწყო რეგბიში სსრ კავშირის I ჩემპიონატის ფინალური ტურნირი, რომელმაც უნდა გამოავლინოს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების მფლობელნი. ოთხთა ამ ასპარეზობაში I ტურში გუნდები ასე დაწყვილდნენ: მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის რეგბისტთა წინააღმდეგ თამაშობდა ლენინგრადის სტუდენტთა კოლექტივი, ხოლო თბილისის „ლოკომოტივის" მეტოქე გახლდათ მოსკოვის „დინამო".

თბილისელებმა თამაში აღმავლობით დაიწყეს, მაგრამ მალე დათმეს პოზიციები. განსაკუთრებით სუსტად ითამაშა დაცვამ. მან ვერაფერი მოუხერხა მეტოქის შეტევებს, რომელიც ხან ერთი, ხან მეორე ფლანგიდან ვითარდებოდა. შესვენებამდე „დინამომ" 6 ქულა მოიპოვა. თბილისელებმა გოლის გატანის რამდენიმე ნაღდი შესაძლებლობა გაუშვეს ხელიდან.

შესვენების შემდეგ მატჩი უფრო დაძაბული გახდა. „ლოკომოტივი" ბევრს ეცადა თამაშში გარდატეხის შეტანას, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ დღეს მას გამარჯვება არ ეწერა. მათ კიდევ ერთი ბურთი მიიღეს და პირველი ფინალური შეხვედრა წააგეს — 0:9.

ლენინგრადის „ბურევესტნიკის" და მოსკოვის ტექნიკური სასწავლებლის რეგბისტთა მატჩი ჩემპიონატის ფავორიტს, მოსკოვის გუნდს კარგს არაფერს უქადდა. ნევისპირელმა სტუდენტებმა შეხვედრა აღმავლობით დაიწყეს. თავდამსხმელები სწრაფ იერიშებს ავითარებდნენ, ხოლო დაცვას მტკიცედ ჰყავდა ჩაკეტილი მოსკოველი მოიერიშენი. ლენინგრადელებმა მოიგეს I ნახევარი — 3:0.

უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდმა, როგორც ჩანს, შესვენებისას კარგად გააანალიზა პირველ ნახევარში ჩატარებული ბრძოლა და თამაშის განახლებისას მეტოქეს სულ სხვა ვარიანტი შესთავაზა, რამაც სათანადო ნაყოფი გამოიღო. საბოლოოდ, გამარჯვება მოსკოველებს დარჩათ — 11:6.

# სპორტული უნივერსიტეტი 68

## მეექვსე სერიის პასუხები

**1.** **ოლიმპიური დროშა პირველად აღიმართა 1914 წელს პარიზში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე, ხოლო ოლიმპიურ სტადიონზე იგი პირველად აფრიალდა ანტვერპენის VII ოლიმპიური თამაშების (1920 წ.) გახსნის დღეს. ოლიმპიურ დროშაზე გამოსახული ერთმანეთზე გადაწნული სხვადასხვა ფერის ხუთი რგოლი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ხუთი მატერიკის სპორტსმენთა მჭიდრო ურთიერთკავშირისა და ერთიანობის სიმბოლოა: ევროპა — ცისფერი რგოლი, აზია — ყვითელი, ავსტრალია — მწვანე, ამერიკა — წითელი, აფრიკა — შავი.**

თანამედროვე ოლიმპიური დროშის წინამორბედი პირველი ოლიმპიური დროშა თავისი ემბლემითა და დევიზით („უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო შორს“) ჩაფიქრებულ და განხორციელებულ იქნა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების სულისჩამდგმელის პიერ დე კუბერტენის მიერ. იგი დამზადდა 1913 წელს პარიზში. დროშის ადრინდელი ზომები (სიგრძე 3 და სიგანე 2 მეტრი) დღესაც უცვლელია, მაგრამ დროშაზე გამოსახული ერთმანეთზე გადაწნული ხუთი სხვადასხვა ფერის რგოლი პირველად არ გამოხატავდა იმ სიმბოლიკას, რომელიც მას დღეს აქვს. ხუთი ფერის რგოლი ადრე საქმარისი იყო საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შემავალი და, ბუნებრივია, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე ყველა ქვეყნის ეროვნული დროშების ფერთა გამოსახვისთვის. შემდგომ იგი თანდათან აღარ შეესატყვისებოდა ოლიმპიურ თამაშებში შემომატებული ახალ-ახალი ქვეყნების ეროვნულ დროშათა ფერებს. ამან თანდათან განაპირობა და გამოკვეთა რგოლების ფერებისა და რაოდენობისადმი ის განსაზღვრა, რომელიც დღესაც ძალაშია.

**2.** **თუ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის შემდეგ ძელიდან ასხლეტილი ბურთი კარში გაიტანა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფმა მოთამაშემ, გოლი არ ჩაითვლება. წესის ასეთი დარღვევა ისჯება თავისუფალი დარტყმით.**

მაგრამ აქვე მოვიყვანთ მაგალითს, როდესაც გოლი ჩაითვლება, თუმცა ეს შემთხვევა თეორიული შესაძლებლობის ფარგლებს არ სცილდება. დავუშვათ, 11-მეტრიანი დარტყმა შესრულდა ისეთი ძალით, რომ ძელიდან ასხლეტილი ბურთი დაუბრუნდა მოედნის შუაგულს და მას დაეუფლა თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი მოწინააღმდეგე გუნდის მოთამაშე. მან ისარგებლა ამით და ბურთი გაიტანა, რა თქმა უნდა, არა იმ კარში, სადაც სრულდებოდა საჯარიმო დარტყმა, არამედ საწინააღმდეგო კარში. გოლი აუცილებლად ჩაითვლება. მართალია, ამ შემთხვევაში გოლის ავტორი იმყოფებოდა პასიურ თამაშგარე მდგომარეობაში, მაგრამ ბურთის მიღების მომენტში იგი აქტიურში არ გადაზრდილა, ვინაიდან უშუალოდ მოწინააღმდეგისგან იქნა ბურთი მიღებული და გოლიც წესების დაცვით გაიტანა.

**3.** **ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში ყველაზე მეტჯერ — ხუთჯერ — მონაწილეობდნენ ალექსი და ვასილ სოკოლოვები.**

თავდამსხმელი ალექსი სოკოლოვი გამოდიოდა თასის პირველი მფლობელის მოსკოვის „ლოკომოტივის“ (1936 წელი) და მოსკოვის „სპარტაკის“ (1938, 1939, 1946 და 1947 წლები) შემადგენლობაში, ხოლო მცველი ვასილ სოკოლოვი თამაშობდა მხოლოდ მოსკოვის „სპარტაკის“ შემადგენლობაში (1938, 1939, 1946, 1947 და 1950 წ. წ.).

**4.** **საბჭოთა მძლეოსანმა ვაჟებმა გაზეთ „იუმანიტეს“ საერთაშორისო კროსში პირველად მონაწილეობა მიიღეს 1935, ხოლო ქალებმა — 1937 წელს. როგორც ვაჟებმა (ს. ზნამენსკი, გ. ზნამენსკი, მ. ივანკოვიჩი, ა მალიაევი, ვ. პრივეზენცევი, ი. მაქსიმოვი), ისე ქალებმა (ა. ზაიცევა, ნ. ხობოლევა, ე. ვასილიევა) დაიკავეს გუნდური პირველი ადგილები, ხოლო პირადში გამარჯვებულები გამოვიდნენ ს. ზნამენსკი და ა. ზაიცევა.**

„იუმანიტეს“ კროსი მორბენალთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრებაა და ტარდება ყოველ გაზაფხულს პარიზში (ვენსანის ტყის მიდამოებში). პირველად იგი გაიმართა 1933 წლის 26 თებერვალს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანოს „იუმანიტეს“ რედაქციის ინიციატივით და მას შემდეგ ტარდება ყოველწლიურად (არ ჩატარებულა მხოლოდ 1939 — 1945 წლებში). კროსზე თამაშდება სამი ძირითადი პრიზი: დანიელა კაზანოვას პრიზი — ქალთა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის, ძმების ზნამენსკების პრიზი — ვაჟთა გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის და ოგიუსტ დელონის პრიზი — გამარჯვებისთვის საერთო-გუნდურ ჩათვლაში. „იუმანიტეს“ კროსში მონაწილეობა მიუღიათ ისეთ ცნობილ სპორტსმენებს, როგორებიც არიან: ირჟი ხრომიკი, ემილ ზატოპეკი, ვლადიმერ კუცი, ჩინო ოტკალენკო, პეტრე ბოლოტნიკოვი, ზბიგნევ კშიშკოვიაკი და სხვა.

**5.** **პროფესიულ ველომრბოლელთა უდიდესი შეჯიბრება ტურ დე ფრანსი ტარდება 1903 წლიდან და მასში ყველაზე მეტჯერ — ხუთჯერ — გაიმარჯვა ფრანგმა ჟაკ ანკეტილმა (1957, 1961, 1962, 1963 და 1964 წლებში).**

ტურ დე ფრანსი, რომლის ტრასა 4,800 კმ-ს აღემატება, მრავალდღიანი საგზატკეცილო რბოლაა. იგი ჩვეულებრივად გრძელდება 25-დან 30 დღემდე და ტრასა გადის საფრანგეთის ტერიტორიაზე (ნაწილობრივ ბელგიაში) ესპანეთის, შვეიცარიისა და იტალიის საზღვრების გასწვრივ.

ტურ დე ფრანსის ორგანიზატორი იყო გაზეთ „ოტოს“ (პოპულარული ფრანგული სპორტული გაზეთის „ეკიპის“ წინამორბედი) რედაქტორი ანრი დეგრანჟი. პირველ რბოლაში, რომელიც 65 წლის წინათ გაიმართა, გაიმარჯვა ფრანგმა გარინმა. მიმდინარე წელს მოეწყო 55-ე რბოლა, სადაც წარმატებას მიაღწია ჰოლანდიელმა იანსენმა. გუნდურში უძლიერესები იყვნენ ესპანელები.

**6.** **საქართველოს პირველი ჩემპიონები ჭადრაკში იყვნენ: ქალთა შორის ფ. კაცი (1935 წ.), ხოლო ვაჟთა შორის — ვ. გოგლიძე და ნ. სოროკინი (1928 წ.). თბილისის პირველი ჩემპიონები იყვნენ: ქალთა შორის ე. ზაუტაშვილი (1927 წ.), ხოლო ვაჟთა შორის — ა. სმოროდსკი (1926 წ.); საქართველოს ახლანდელი ჩემპიონები არიან ქალთა შორის ნ ალექსანდრია, ხოლო ვაჟთა შორის — ბ. გურგენიძე. თბილისის ახლანდელი ჩემპიონები არიან ქალთა შორის ს. ივანოვა (1967 წ., მიმდინარე წელს თბილისის ჩემპიონატი არ გათამაშებულა), ხოლო ვაჟთა შორის რ. ჯინჯიხაშვილი და თამაზ გიორგაძე.**

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ თბილისში საგრძნობლად გაიზარდა ორგანიზებულ მოჭადრაკეთა რიცხვი. 1923 წელს გაიმართა თბილისელ მოჭადრაკეთა პირველი ტურნირი, ხოლო 1925 წელს — მეორე შეჯიბრება, რომელიც ამავე დროს მიჩნეული იყო თბილისის არაოფიციალურ პირველობად მოწინააღმდეგენი ერთმანეთს უსაათოდ ეთამაშებოდნენ. გაიმარჯვა ვ. ალაძალიანმა. 1926 წელს უკვე შესაძლებელი გახდა მასობრივი ტურნირ-ს გამართვა, რომელშიც 600 ჭადრაკის მოყვარული მონაწილეობდა. ამავე წელს საფუძველი ჩაეყარა თბილისის პირველობათა მოწყობას.

**7.** **მსოფლიოს ოფიციალური რეკორდსმენი ბადროს მტყორცნელ ქალთა შორის არის ვესტერმანი (გფრ). ვესტერმანმა ქალთა შორის პირველმა გადალახა 60-მეტრიანი ზღვარი და 1967 წლის 5 ნოემბერს ქალაქ სან-პაულოში დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 61,26 მ.**

მიმდინარე წელს აღნიშნული რეკორდი უკვე ორჯერ დაემხო. ახალი მიღწევები მართალია, ჯერ არ არის რეგისტრირებული, მაგრამ მათ სულ მალე დაამტკიცებს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია.

ჯერ იყო და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენმა კრისტინა შპილბერგმა 28 სანტიმეტრი წაუმატა მსოფლიო რეკორდს (25 მაისს), ხოლო ზუსტად ორი თვის შემდეგ, დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფერდოლში ბადრო დაეცა 62,54 მეტრზე და მისი ავტორი გახლდათ შესანიშნავი მძლეოსანი, ამ სახეობაში მეხიკოს № 1 ფავორიტი ლიზელ ვესტერმანი.

**8.** **ევროპის კონტინენტი ფიგურულ ციგურაობაში თავის პირველობებს ვაჟთა შორის ატარებს 1891 წლიდან, ხოლო ქალთა შორის — 1930 წლიდან. ყველაზე მეტჯერ ჩემპიონები იყვნენ: ვაჟთა შორის — ულრიხ სალხოვი (შვეცია, 9-ჯერ), ქალთა შორის — სონია ჰენი (ნორვეგია, 6-ჯერ). წყვილთა შეჯიბრებაში, რომელიც 1930 წლიდან იმართება, ყველაზე მეტი ევროპული ოქრო (5) მოიხვეჭეს მარიკა კილიუსმა და ჰანს იურგენ ბოიმლერმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ხოლო ცეკვებში — დორინ დენმა და კურტნეი ჯონსმა. აგრეთვე, დიანა ტაულერმა და ბერნარდ ფორდმა (ორივე — დიდი ბრიტანეთი — 3-3-ჯერ).**

**9.** ოლიმპიური თამაშების მომწყობ ქალაქთა შორის, ბუნებრივია, გაჩაღდა დაუსწრებელი შეჯიბრება დევიზით „ვინ უფრო უკეთ მოაწყობს ოლიმპიურ თამაშებს?“. ამ შეჯიბრებაში წარმატების მომპოვებელი ქალაქები, ისევე როგორც უშუალოდ თამაშებში გამარჯვებული სპორტსმენები, თავისთავად ცხადია **სამახსოვრო პრიზსაც იღებენ. ოლიმპიური თამაშების მომწყობ ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქად აღიარებულია იაპონიის დედაქალაქი ტოკიო (დაჯილდოვდა ოლიმპიური თასით) — XVIII ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორი და ჩამტარებელი. ტოკიო მესამე ქალაქია, რომელიც გახდა ამ პრიზის მფლობელი. მანამდე ეს უმაღლესი ჯილდო დაისაკუთრეს 1952 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლებმა ჰელსინკმა (ზაფხულის) და ოსლომ (ზამთრის).**

**10.** **სურათზე აღბეჭდილია ფიგურულ ციგურაობაში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ოსტატი ქალი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, მსოფლიო პირველობათა და ოლიმპიური თამაშების პრიზიორი გაბრიელა ზაიფერტი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).**

* * *

**კონკურსში დაწინაურებულთა გვარები გამოქვეყნდება მეშვიდე სერიის კითხვებთან ერთად, 17 სექტემბერს.**

## [illegible]

● **ოსლო,** 12 სექტემბერი. **ნორვეგიისა და ფინეთის მძლეოსანთა ორდღიანი მატჩი მოიგეს სტუმრებმა. ვაჟებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 222,5:184,5, ქალებმა — 63:53. ფინელმა ე. მუსტაკარიმ ჭოკით 5 მეტრი გადალახა.**

● **რომი, 12 სექტემბერი.** იტალიის, რუმინეთისა და შვეციის მძლეოსანთა საერთაშორისო მატჩში ა. ნილსონმა შუბის ტყორცნაში დაამყარა შვეციის ახალი რეკორდი — 87,67 მ. ეს სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო შედეგია მსოფლიოში. მისმა თანაგუნდელმა ა. ჰერდერუდმა თავი ისახელა 800 მეტრზე რბენაში — 1.47,2. ესეც ქვეყნის ახალი რეკორდია. სამხტომი მოიგო ჯ. ჯენტილმა (იტალია) — 16,70 მ. იტალიელებმა გაიმარჯვეს ესტაფეტაშიც 4×100 მ — 39,9.

● **ბუქარესტი,** 12 სექტემბერი. **36 წლის ლ. მანოლიუს მტკიცედ გადაუწყვეტია მეხუთედ იასპარეზოს ოლიმპიადაზე, ამიტომაც გულმოდგინედ ემზადებოდა და შესანიშნავ შედეგსაც მიაღწია — წლეულს ბადროს ტყორცნაში მეოთხედ გააუმჯობესა ეროვნული რეკორდი. ამჯერად მისი შედეგია 59 მ 22 სმ.**

● **ვენა, 12 სექტემბერი.** მძლეოსანთა აქ გამართულ ტურნირში 21 წლის ი. ჰუზენბაუერმა 180 სმ სიმაღლე გადალახა და 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა ავსტრიის ქალთა რეკორდი.

● **ბერლინი,** 12 სექტემბერი. **გდრ-ის მძლეოსნებმა მეხიკოში წასვლამდე საბოლოოდ შეამოწმეს ძალები და ბევრი კარგი მაჩვენებელიც მოიპოვეს. ხუთჭიდში ქვეყნის ექს-რეკორდსმენმა ი. ბაუერმა 4901 ქულა დააგროვა, რაც წლეულს მეექვსე შედეგია მსოფლიოში. ეს 12 ქულით ჯობია გ. უელმანის მიერ ამასწინანდელ ეროვნულ რეკორდს. ჭოკით ხტომაში ვ. ნორდვიგმა 520 სმ დაძლია. კ. ილგენის ბადრომ კი 60,24 მ იფრინა.**

● **კიევი, 12 სექტემბერი.** დამთავრდა სსრ კავშირის პირველობა წყალში ხტომაში. ასპარეზობის ბოლო სახეობა იყო კოშკიდან ვაჟების ხტომა. ჩემპიონის ოქროს მედალი მოიხვეჭა მ. საფონოვმა — 452,16 ქულა. II ადგილზე გავიდა სსრ კავშირის 1964 წლის ჩემპიონი ვ. პოგოჟევი — 440.76. ბრინჯაო წილად ხვდა ი. მელნიკოვს (ყველა — მოსკოვი) — 439,53. შეჯიბრების შემდეგ საბჭოთა წყალში მხტომელების უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა გ. ბუროვმა დაასახელა სპორტსმენები, რომლებიც მეხიკოში გაემგზავრებიან. ესენი არიან: თ. პოგოჟევა, ე. ანოხინა, ვ. ბაკლანოვა, ბ. პოლულიახი, ვ. ვასინი (ტრამპლინი), ნ. ლობანოვა, გ. ალექსეევა, ნ. კარპუხინა ან თ. სარქისოვა, მ. საფონოვი, ვ. პოგოჟევი, ი. მელნიკოვი (კოშკი).

● **ტულა, 13 სექტემბერი.** აქ გამართულ რსფსრ-ს ველოსიპედისტთა ჩემპიონატში ყველაზე უხვი მოსავალი მოიმკო ადგილობრივი მანქანათმშენებელი ქარხნის ინჟინერმა, ამ სახეობის ვეტერანმა ბ. რომანოვმა. მან მოიგო სპრინტი, ადგილიდან გიტი 1 კილომეტრზე (1.10,9) და გუნდთან ერთად 3 კმ გამოთიშვით რბოლა (1.07,7).

● **ბუდაპეშტი,** 13 სექტემბერი. **დამთავრდა ფეხბურთში ბაზრობათა თასი X გათამაშება. ადრე ამ პრიზის მფლობელები ექვსჯერ იყვნენ ესპანეთის გუნდები: „ბარსელონა“ (3), „ვალენსია“ (2) და „რეალ სარაგოსა“ (1), თითოჯერ—„რომა“ (იტალია), „დინამო“ (იუგოსლავია) და „ფერენცვაროში“ (უნგრეთი). თასი ამჯერად ინგლისს წავიდა, ვინაიდან „ლიდს იუნაიტედმა“ ბუდაპეშტის „ფერენცვაროშთან“ საპასუხო ფინალური მატჩი დაამთავრა ფრედ — 0:0 (პირველი შეხვედრა ინგლისელებმა მოიგეს — 1:0).**

● **მოსკოვი, 13 სექტემბერი.** „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის წლევანდელი გათამაშების ფინალში თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები ცსკა და „სპარტაკი“. მეტოქენი თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ წარმატება არმიელ ჰოკეისტებს ხვდათ — 6:5. ცსკა-მ მეშვიდედ მოიპოვა სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრების მთავარი ჯილდო.

# ლიდერთან ფრის შემდეგ

**კაუნასი,** 13 სექტემბერი (**დეპეშით**). ერთდღიანი შესვენების შემდეგ განახლდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი. IV ტურში თბილისის „ბურევესტნიკი“ ტურნირის ლიდერს, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდს ეთამაშებოდა. ყველაფერი კარგად დაიწყო. თბილისელები იერიშს იერიშზე ავითარებდნენ და შუა ტაიმში 5 ბურთის სხვაობით (8:3) დაწინაურდნენ. შემდეგ ყველაფერი აირია, რამაც მოსკოველებს თამაშის გათანაბრების და ანგარიშში სხვაობის შემცირების საშუალება მისცა. ამის მიუხედავად თბილისელებმა ტაიმი მოიგეს — 12:10.

მეორე ნახევარში მოსკოველებმა მდგომარეობა არა მარტო გამოასწორეს, არამედ კიდევაც დაწინაურდნენ. მატჩის 52-ე წუთისთვის ისინი შეხვედრას იგებდნენ 18:15. საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წუთით ადრე ხუციშვილმა ბრწყინვალედ მოიგერია მოსკოველთა მორიგი შეტევა, ბურთს დაეუფლა „ბურევესტნიკი“ და ზედიზედ 2 გოლი გაიტანა. ბოლო მომენტში ფხაკაძემ შესანიშნავად მიაწოდა კოპალეიშვილს და საბოლოოდ ფრე — 18:18.

სამაგიეროდ, V ტურში „ბურევესტნიკმა“ თავის შესაძლებლობაზე ცუდად ითამაშა ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“. იმის გამო, რომ ცერცვაძე ინდივიდუალური თამაშით ერთობოდა, ხოლო სხვა ხელბურთელები მოედანზე უხეიროდ იყვნენ განლაგებულნი, თბილისელები დამარცხდნენ — 18:24 (10:13).

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: IV ტური: „ალუმინსტროი“ — „დაუგავა“ 17:10, ასკ — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — 14:21, „კუნცევო“ — „ჟალგირისი“ — 22:16. V ტური: „კუნცევო“ — „დაუგავა“ — 21:18, მაი — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) — 30:23, „ჟალგირისი“ — ასკ 18:16.

**ჯ. ენუქიძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის საავიაციო ინსტ. | 16 | 14 | 2 | 0 | 398:304 | 30 |
| „კუნცევო“ (მოსკოვი) | 16 | 11 | 2 | 3 | 334:274 | 24 |
| „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) | 16 | 9 | 1 | 6 | 319:287 | 19 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 16 | 8 | 2 | 6 | 294:296 | 18 |
| „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) | 16 | 8 | 1 | 7 | 315:293 | 17 |
| ასკ (კიევი) | 16 | 6 | 2 | 8 | 258:309 | 14 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 16 | 6 | 1 | 9 | 329:344 | 13 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 16 | 5 | 1 | 10 | 291:329 | 11 |

# ისრები ხვდება მიზანს

ავსტრიის ქალაქ რეიტში გაიმართა მშვილდოსნობაში ევროპის პირველი ჩემპიონატი, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრები გუნდიც მონაწილეობდა. ასპარეზობიდან ისინი კარგი ნადავლით დაბრუნდნენ.

სსრ კავშირის სამგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა, 28 წლის ლვოველმა ნ. კოზინამ 2 ოქროს მედალი დაისაკუთრა: 60 მეტრზე სროლაში 297, ხოლო 30 მეტრზე — 327 ქულა დააგროვა. კომპლექსში მას აჯობეს მსოფლიოს შარშანდელმა აბსოლუტურმა ჩემპიონმა, პოლონელმა ნ. მაჩინსკამ — 1156, ინგლისელმა ბ. ედვარდსმა — 1135 და შვედმა ს. იუჰანსონმა — 1127.

გუნდურ ასპარეზობაში ქალებში პოლონელებმა იმარჯვეს. საბჭოთა სპორტსმენები IV ადგილზე გავიდნენ.

ვერცხლის მედალი მოიპოვა კოზინას თანაქალაქელმა, ჩვენი ქვეყნის ხუთგზის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ვ. სიდორუკმა. 70 მეტრიდან ვაჟების ასპარეზობაში მან 288 ქულა დააგროვა. კომპლექსურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ფინელი კ. ლასონენი — 1186 ქულა.

გუნდურში უძლიერესნი იყვნენ ინგლისელები. სსრ კავშირის სპორტსმენები მერვე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

საბჭოთა სპორტსმენების მიღწევები ცუდი როდია, მაგრამ ჩვენს სპორტსმენებს მეტი მუშაობა მართებთ, ვინაიდან ეს სახეობა შეტანილია მე-20 ოლიმპიადის პროგრამაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ინტერვიუ

## მორეირა: „სიმტკიცე გვაკლია“

ამ დღეებში ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ა. მორეირამ პასუხი გასცა ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს. საუბარი უმთავრესად ფეხბურთელთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატს ეხებოდა.



● **იქნება თუ არა მომავალი ჩემპიონატისათვის ბრაზილიის ნაკრები კვლავ პელეს გუნდი?**

— არავითარ შემთხვევაში. მართალია, პელე კვლავ თანამედროვეობის საუკეთესო ფეხბურთელად მიმაჩნია, მაგრამ მხოლოდ მისი იმედით თამაში დღეს აღარ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ პელეს წინააღმდეგ ყველა დაუშვებელ ხერხებს მიმართავს.

● **რა ნაკლი აქვს ბრაზილიის ნაკრებს მსოფლიოს სხვა წამყვან გუნდებთან შედარებით?**

— ჩვენ აშკარად გვაკლია ინგლისელთა და გერმანელთა სიმტკიცე. მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ ინგლისისა და გფრ-ის გუნდები ხშირად ძალისმიერ თამაშს უხეშობასაც უმატებენ.

● **ხომ არ ნიშნავს ეს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატში უპირატესობა რომ ისევ ამ გუნდებს ექნებათ?**

— ვფიქრობ არა. ჩემი აზრით, მეხიკოში განმეორდება 1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ისტორია, სადაც ძალისმიერმა გუნდებმა ვერაფერი გააწყვეს.

● **რა ნახეთ ევროპულ ტურნეში?**

— არაფერი განსაკუთრებული. ინგლისისა და გფრ-ის გუნდები ადრინდელი მანერით თამაშობენ. მათ თანდათან ემსგავსებიან შოტლანდიელებიც.

● **ხომ ვერ დაასახელებთ ბრაზილიის ნაკრების იმ კანდიდატებს, რომლებსაც მეხიკოში მოუწევთ თამაში?**

— ჩვენ საკონტროლო მატჩების მთელი სერია ჩავატარეთ და ცხადია, ზოგიერთი დასკვნაც გამოვიტანეთ. აი, როგორი იქნება ჩვენი ნაკრების ძირითადი ბირთვი: განაპირა მცველები — კარლოს ალბერტო, სადი; ცენტრალური მცველები — ჟურანდირი, დიასი; ნახევარმცველები — ლოპესი, რობერტო, რიველინო, ნეგრეიროსი, პიაცა; თავდამსხმელები — ტოსტაო, პელე, ტონინიო, ედუ, ბორგესი, ჟაირზინიო.

● **ბოლო შეხვედრებში რომელი მოთამაშეები გამოიყურებოდნენ უკეთესად?**

— კარლოს ალბერტო, ჟაირზინიო, რიველინო და ტოსტაო.

## ტოსტაო: „ჩემს მაგივრად ფიქრობს მწვრთნელი“...

მათ, ვისაც ფეხბურთის მოედნის გარეთ ერთხელ მაინც უნახავთ ტოსტაო, ვერაფრით დაიჯერებ, რომ იგი ბრაზილიის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელია. ტანდაბალი, გამხდარი, ავადმყოფური შეხედულების ჭაბუკი არაფრით არ მოგაგონებთ მსოფლიოში უკვე აღიარებულ „ვარსკვლავს“. ტოსტაო უფრო თანამედროვე, ზედმეტად ბეჯითი სტუდენტის ტიპიური განსახიერებაა.

ასეთი შთაბეჭდილება დარჩათ 21 წლის ედუარდ გონკალვეს ანდრადეზე პოლონელ ჟურნალისტებს, რომლებმაც ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ევროპული ტურნეს დროს ინტერვიუ ჩამოართვეს მას.



● **რას ნიშნავს თქვენი ფსევდონიმი — ტოსტაო?**

— ტოსტაო, უფრო ზუსტად კი ტოსტა, ბრაზილიური წვრილი ფულია, რომელიც უკვე კარგა ხანია გამოვიდა ხმარებიდან. რატომ მაინცდამაინც ეს მეტსახელი შემარქვეს, ძნელი გასაგები არაა.

● **როდის მიგიწვიეს პირველად ნაკრებში?**

— ორი წლის წინ, როცა ბრაზილიას ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად პოლონეთის ნაკრები ესტუმრა.

● **თუ გახსოვთ ამ შეხვედრის დეტალები?**

— რა თქმა უნდა. პირველ ნახევარში სტუმრები კარგად თამაშობდნენ და ანგარიში მიყავდათ კიდეც. კარგი რომ ზედ შესვენების წინ, ჩვენ ორი ბურთი გავიტანეთ (ერთ-ერთი მათგანის ავტორი მე გახლდით). ეს იყო ჩემი პირველი გოლი ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში.

● **როდის ჩამოდით პირველად ევროპაში?**

— 1966 წელს მსოფლიო ჩემპიონატზე.

● **როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ჩემპიონატმა?**

— ძალიან ცუდი. მე პირველად ვნახე ასეთი უხეში თამაში ჩვენი გუნდის წინააღმდეგ. მეტოქეები პირდაპირ ნადირობდნენ ჩვენს ბიჭებზე.

● **რამდენი მატჩი ითამაშეთ ნაკრების შემადგენლობაში?**

— იმდენად ცოტა, რომ სტატისტიკოსებმა ალბათ ვერც შემამჩნიეს.

● **ვის გვერდით გიყვართ თამაში?**

— ჩემი მშობლიური კლუბის „კრუზეიროს“ თავდამსხმელების გვერდით.

● **ვინ მიგაჩნიათ ბრაზილიის საუკეთესო ფეხბურთელად?**

— პელე საუკეთესოა ბრაზილიაშიც და მთელს მსოფლიოშიც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ იგი მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატში ითამაშებს.

● **თქვენც ხომ მოგიწევთ მის გვერდით თამაში?**

— მოუთმენლად ველი ამ დღეს. პელე ბრწყინვალე პარტნიორია.

● **ვინ მიგაჩნიათ ბრაზილიის № 2 ფეხბურთელად?**

—კანდიდატები ბევრია: გერსონი, პიაცა, ჟაირზინიო. მცველი კარლოს ალბერტო, რომელსაც უკვე ახლა უწოდებენ მეორე ჯალმა სანტოსს.

● **რას ფიქრობთ თქვენ თავზე, როგორც ფეხბურთელზე?**

— მე არ ვფიქრობ, ჩემს მაგიერად ფიქრობს მწვრთნელი. მას კი ვგონებ, მოსწონს, რომ ყოველ მატჩში თითო ბურთი გამაქვს.



წლეულს ვარშავაში გამართული შეხვედრა ბრაზილიისა და პოლონეთის ეროვნულ ნაკრებ გუნდებს შორის. ფოტოზე ალბექდილნი არიან ბრაზილიელები ჟაირზინიოს ბრწყინვალე გოლის შემდეგ (ტოსტაოს მიწოდებიდან), როდესაც ანგარიში გახდა 3:2 ბრაზილიელთა სასარგებლოდ. შეხვედრა მოიგეს ბრაზილიელებმა — 6:3. სურათზე: (მარცხნიდან) ტოსტაო, ჟაირზინიო, კარლოს ალბერტო, ნატალი და ედუ.

## 0,3 წამით

აშშ-ის მძლეოსანთა ბოლო წინაოლიმპიური ტურნირი, როგორც ცნობილია, საუტ-ლეიკ-ტახოში გაიმართა და ამჯერადაც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. ტურნირამდე ოლიმპიური სპეციალური ნორმატივები იქნა დადგენილი. მათი შეუსრულებლობის შემთხვევაში სპორტსმენი გუნდის მიღმა რჩებოდა. მაგალითად, ბირთვის კვრაში ნორმატივი 17 მ 70 სმ იყო, მაგრამ მას წინასწარ შეჯიბრებაშივე ყველა კანდიდატმა გადააჭარბა: დ. მეჰარდმა 18,96 მ აჩვენა, მსოფლიო რეკორდსმენმა რ. მათსონმა 18,83, კ. პატერმა — 18,58, ჯ. ვუდსმა — 18,42. ფინალში ეს შედეგები საგრძნობლად გაიზარდა. პირველობა მოიგო ვუდსმა — 20,72, მეჰარდის ბირთვი 20,52 მეტრზე დაეცა. მათსონი მას 7 სანტიმეტრით ჩამორჩა.

100 მეტრზე რბენის ფინალში ყველას აჯობა ჯ. ჰაისმა — 10,0, გრინმა მასთან 0,1 წამი წააგო. ბადროს ტყორცნაში საუკეთესო შედეგი ჰქონდა მსოფლიოს რეკორდსმენს ჯ. სილვესტრის — 63,20. 200 მეტრზე წინასწარ რბენაში გამარჯვებულ ჯ. კარლოს 0,1 წამი არ ეყო მსოფლიო რეკორდამდე — 20,1. 400 მეტრზე თარჯრბენში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ჯ. ვანდერსტოკმა — 48,8, რაც 0,3 წამით ჯობია რ. კოულეის (აშშ) ძველ მსოფლიო მიღწევას. 800 მეტრზე რბენაში მთიანეთისთვის სპორტის ისტორიაში საუკეთესო შედეგი (1.46,5) მოიპოვა ტ. ფერელიმ. ჯ. რაიანმა ბოლო, VII ადგილი დაიკავა და მისი გუნდში შეყვანის საკითხი ახლა კითხვის ნიშნის ქვეშაა.

## სპორტული საათი

◆ **საუტ-ლეიკ-ტახო, 13 სექტემბერი.** ახალი მსოფლიო რეკორდებით აღინიშნა კალიფორნიის ამ მაღალმთიან ქალაქში გამართული ამერიკელ მძლეოსანთა შეჯიბრება 200 მეტრზე რბენასა და ჭოკით ხტომაში. მძლეოსნობის ისტორიაში პირველად ორმა სპორტსმენმა 200 მ გაირბინა 20 წამზე ნაკლებ დროში. ესენი იყვნენ ზანგი სპორტსმენი ჯ. კარლოსი და წინანდელი მსოფლიო რეკორდის მფლობელი ტ. სმითი. ორივემ აჩვენა შესანიშნავი დრო — 19,7. ეს 0,3 წამით ჯობია სმითის ძველ რეკორდს. ფინიშთან მესამე იყო ლ. კვესტადი — 20,0. ფენომენალური იყო ჭოკით მხტომელ ბობ სიგრენის გამოსვლაც. რომელიც 541 სმ-ზე გადებულ თამასს გადაევლო. სიგრენმა გააუმჯობესა თავისი თანამემამულის პ. უილსონის მსოფლიო მიღწევა.

◆ **ლონდონი,** 13 სექტემბერი. **დიდი ბრიტანეთის ახალი რეკორდები დაამყარეს მ. ბულმა და ბ. ინკპერმა. პირველმა ჭოკით ხტომაში აჩვენა 503 სმ, ხოლო მეორემ გადალახა 175 სმ სიმაღლე.**

◆ **რომი, 13 სექტემბერი.** იტალიის დედაქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაში აქაურმა მძლეოსანმა ქალმა პ. პინიმ 800 მ გაირბინა 2.04,8-ში. მისი თანამემამულე რ. გოვორი პირველი იყო 400-მეტრიან დისტანციაზე — 54,8.

▲ რომი. დამთავრდა ვიარეჯოს თასის გათამაშება ჩოგბურთში. ვაჟთა ფინალში რუმინელმა ნასტასემ მოუგო იუგოსლაველ იოვანოვიჩს — 5:7, 8:6, 6:0, 6:3. ქალებში როდელმა (იტალია) დაამარცხა მაკ-ლენიენი (ინგლისი)—10:8, 6:0. ვაჟთა წყვილებში პირველები იყვნენ ნასტასე და ცირიაკი, რომლებმაც სძლიეს იოვანოვიჩსა და ფრანულოვიჩს — 6:4, 6:2.

▲ ვერვიეში (ბელგია). გაიმართა საერთაშორისო გუნდური ველორბოლა 100 კილომეტრზე. ესპანელებმა (2:25.03) 45 წამით აჯობეს დასავლეთ გერმანიის სპორტსმენებს. III ადგილზე გავიდნენ ფრანგები—2:27.37.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

**თბილისის სპორტული**

**მძლეოსნობა.** „დინამოს“ სტადიონი. 14-15 სექტემბერი. **ქალაქის პირად-გუნდური პირველობა სპორტკლუბებს შორის.** დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 7 უე 05343